N 04/126
10/05/2023

126-04-2-202305101836

საქართველოს მელიორაციის ექსპლუატაციის დირექტორს

ბატონ გიორგი ხუბუას

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ახორციელებს „ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტს“, რომელიც მოიცავს ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემის დანერგვას, უსაფრთხო გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით. პროექტი ითვალისწინებს, ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობას და მის აღჭურვას ტექნიკური საშუალებებით. აღნიშნული ობიექტი მოემსახურება ქვემო ქართლის რეგიონის 5 მუნიციპალიტეტს, კერძოდ წალკა, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი. პროექტის ხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) და საქართველოს სახელმწიფო კონტრიბუციის დაფინანსებით.

ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობა დაგეგმილია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში (ს/კ N 84.06.34.048.603; ს/კ: 84.10.38.000.017). საპროექტო ტერიტორიის დიდი ნაწილი (158,000 კვ.მ.) შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ საკუთრებაშია, ხოლო ამჟამად მიმდინარეობს 50,000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიის საკუთრებაში რეგისტრაციის პროცედურები.

გაცნობებთ, რომ ამჟამად მიმდინარეობს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოპოვების პროცედურები. სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიერ, გზშ-ის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ მიერ სააგენტოში წარდგენილი Nგ-701 (07.03.2023) წერილის საფუძველზე, მოთხოვნილია დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარდგენა.

გაცნობებთ, რომ ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ, სკოპინგის და გზშ-ს ეტაპებზე, შპს „საქართველოს მელიორაციაში“ წარდგენილი იქნა პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია და მიღებულ იქნა შესაბამისი თანხმობა. (დანართის სახით წარმოდგენილია შესაბამისი კორესპონდენცია).

სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოში“ წარდგენილი Nგ-701 (07.03.2023) თქვენი წერილით მოთხოვნილია:

- „ირიგაციული დანიშნულების მიწისქვეშა მილსადენის გასხვისების ზოლების დაცვა“;

ამათან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს მელიორაციის“ Nგ-701 (07.03.2023) წერილით მოთხოვნილია 12-12 მეტრის გასხვისების ზოლის დაცვა, ხოლო პროექტის შემუშავების

ეტაპზე, N გ-3394 (14.08.2019) წერილით მოთხოვნილი იყო 7-7 მეტრიანი გასხვისების ზოლების დაცვა და მილსადენის გადაკვეთის პროექტის შეთანხმება, რაც დეტალური დიზაინის მომზადების პროცესში იქნა გათვალისწინებული.

დანართის სახით, გიგზავნით თქვენთან შეთანხმებულ პროექტს კიდევ ერთხელ განსახილველად.

დამატებით გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ თანახმაა, საჭიროების შემთხვევაში, ობიექტის მშენებლობისა და ოპერირების ეტაპზე, შპს „საქართველოს მელიორაცია“ უზრუნველყოს ობიექტის საზღვრებში მოქცეულ მიწისქვეშა მილსადენზე (ს/კ 84.00.111) სრული წვდომის უფლებით.

- „ნაგავსაყრელთან მისასვლელი სამანქანო გზის მარშრუტის წარმოდგენა“;

დანართის სახით, გაწვდით მისასვლელი სამანქანო გზის საპროექტო დოკუმენტაციას.

- „ტერიტორიაზე შემავალი სამანქანო გზის ალტერნატიული ვარიანტის მოძიება, რათა არ მოხდეს მილადენზე მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილება და მისი დაზიანება“;
- „ირიგაციული დანიშნულების მიწისქვეშა მილსადენის გადაკვეთისას ტექნიკური პირობების შეთანხმება“

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ N 04/374 (20.08.2019) წერილის საფუძველზე, შპს „საქართველოს მელიორაციის“ N გ-3787 (11.09.2019) წერილით წარმოდგენილი იქნა ობიექტზე შესასვლელი გზისთვის საჭირო პარამეტრები. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ N 04/109 (20.04.2021) წერილით წარმოდგენილ იქნა მოთხოვნილი პარამეტრებით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც, შპს „საქართველოს მელიორაციის“ N გ-1633 (08.06.2021) წერილით მიღებულ იქნა შესაბამისი თანხმობა.

დანართის სახით, კიდევ ერთხელ წარმოგიდგენთ თქვენს მიერ მოთხოვნილი ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით შემუშავებულ ობიექტის პროექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ თქვენს თანხმობას გზშ-ს ანგარიშით წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, იმ პირობით რომ შპს „საქართველოს მელიორაციას“ ექნება ობიექტის ტერიტოტიაზე მდებარე მილებთან (ს/კ 84.00.111) წვდომა საჭიროების შემთხვევაში.

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიერ მოთხოვნილი დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარდგენის ვადების გათვალისწინებით, გთხოვთ თქვენი პოზიცია გვაცნობოთ შესაძლებლობისდაგვარად მოკლე ვადებში.

დანართი:

1. ოფიციალური კორესპონდენცია;
2. მისასვლელი სამანქანო გზის საპროექტო დოკუმენტაცია;
3. ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

გიორგი შუხოშვილი

დირექტორი